



ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/Akhali Ganatleba

№8 (922) განთავსებულია 1998 წლიდან

18-24.03.2021



ს-დან 16 წლამდე 10 404 მოზარდს ამ აქვს სეანძანათლოჭლო ისტოროია და ამ ამის რევისტროირუჭული ეანათლოჭის ძაბოჯის სინფოორძაციო სისტემის მოსწავლოთა ჭაზაძი.

2

ლალი ჯალაძე

პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპის დეტალები

ინტერვიუ თამარ ჟღანდთან

3

ზარნიკ კოვსეფიანი

თანამედროვე განათლების სისტემაში მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის როლი

6

მაია მათევაშვილი

ადამიანის დანიშნულების განსაზღვრა ოთარ ჭილაძის მხატვრულ სამყაროში

მითი და რეალობა „ადამიანი გაჯეთის სვეტში“

8

ნოფალ ალიევი

კომპლექსური დავალების ნიმუშები

მათემატიკა ფიზიკა

ინტერვიუ

პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპის დეტალები

ლალი ჯალაღა

15 მარტს პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი დაიწყო. როგორც ცნობილია, რეგისტრაციის I ეტაპზე, 2021 წლის 15 მარტიდან 2021 წლის 26 მარტის ჩათვლით, სკოლებში დარეგისტრირდებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ შესაძლოა ჩაითვალოს ბავშვი, რომელსაც აქვს: ა) ფიზიკური შეზღუდვა; ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა; გ) სწავლის უნარის დარღვევა; დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის); ე) მეტყველების განვითარების დარღვევა; ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა; ზ) ბრძანება-

დიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება; თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სხვ.

იმ ბავშვების მშობლებს, რომლებსაც არ დაუდასტურებიათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, საშუალება ექნებათ, ბავშვების რეგისტრაცია მომდევნო ეტაპებზე განახორციელონ.

პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპის დეტალებზე გვიხატება თამარ ჟღენტი – საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

პროცედურულად როგორ მიმდინარეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რეგისტრაცია და მულტიდისციპლინური გუნდი რა ეტაპზე ერთვება მოსწავლის შესაფასებლად?

პირველკლასელთა რეგისტრაციას, უკვე მესამე წელია, პირველ ეტაპად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რეგისტრაცია დაემატა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის სკოლებს წინასწარ ჰქონდეთ ინფორმაცია, იმ მოსწავლეების შესახებ, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან მივლენ სკოლებში, რათა მათთვის შესაბამისი პირობები შექმნან. ზაფხულის პერიოდი გამოიყენონ იმისთვის, რომ ბავშვებისთვის ისეთი სასწავლო გარემო მოამზადონ, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მათ საჭიროებებს.

წელს პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი 15 მარტს დაიწყო და 26 მარტის ჩათვლით გაგრძელდება, ხოლო საბუთების მიღების ეტაპი 29 მარტიდან 24 აპრილის ჩათვლით გასტანს. ამ პერიოდში მოხდება მათი შეფასებაც.

I ეტაპზე დასარეგისტრირებელი ბავშვების მშობლებმა განცხადებით უნდა მიმართონ სასურველ საჯარო სკოლას და სკოლის ადმინისტრაცია ბავშვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაარეგისტრირებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით, მშობელი სკოლაში შესაბამისი მიმართვის ფორმას ავსებს, სკოლა აღნიშნულ ფორმას აგზავნის სამინისტროში, რის შემდეგაც მულტიდისციპლინური გუნდი შეაფასებს ბავშვს და დაადგენს მის საგანმანათლებლო საჭიროებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლის ჩარიცხვას შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოფს. რეალურად, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, იმის საფუძველია, რომ ბავშვი სკოლაში რეგისტრაციის პირველ ეტაპზე ჩარიცხოს.

რეგისტრირებული ბავშვებისთვის დოკუმენტების წარდგენის პერიოდი 2021 წლის 29 მარტიდან 24 აპრილის ჩათვლით.

რა კრიტერიუმებით ავგინთ აქვს თუ არა ბავშვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და ვისგან შედგება მულტიდისციპლინური გუნდი?

ეს სტანდარტული პროცედურაა, ისეთივე, როგორც ზოგადად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა. მულტიდისციპლინური გუნდი შედგება სხვადასხვა სპეციალისტებისგან: ფსიქოლოგები, ოკუპაციური თერაპევტი, სპე-

ციალური მასწავლებელი და სხვ. მულტიდისციპლინური გუნდი სტანდარტიზებული ტესტის გამოყენებით აფასებს ბავშვის აკადემიურ და კოგნიტიურ უნარებს, ხდება შეფასების შედეგების ინტერპრეტაცია და თუ ბავშვს სპეციალური საჭიროება დაუდასტურდა, იწერება კონკრეტული რეკომენდაციები – რა საჭიროება აქვს მოსწავლეს, როგორ შეიძლება სკოლა იმუშაოს მასთან, რომ სრულფასოვნად ჩართოს საგანმანათლებლო პროცესში ან საჭიროებს თუ არა ის დამატებითი სპეციალისტის დახმარებას და ა.შ.

როგორ აფასებს მულტიდისციპლინური გუნდი ბავშვის დიაგნოზის მქონე მოსწავლეს, მაგალითად, აუტიზტური სპექტრის ან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს?

ჩვენ მივიღებთ სოციალური მოდელით. ამ შემთხვევაში, დიაგნოზს ჩვენთვის გადაამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენთვის მთავარია, იმ სირთულეების იდენტიფიცირება, რაც განაპირობებს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას.

შესაძლებელია, არსებობდეს რაიმე სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელსაც მშობელი, სურვილის შემთხვევაში, დაურთავს მომართვის ფორმას და მას ჩვენი გუნდი გაეცნობა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება უფრო ფართო ცნებაა და გარკვეულწილად მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებსაც. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენთვის ამოსავალი საგანმანათლებლო საჭიროებაა, შესაძლოა ბავშვი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მაგალითად, გადაადგილების შეზღუდვა ჰქონდეს, მაგრამ არ ვლინდებოდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სირთულე და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება.

შემდეგი ეტაპი – ინფორმალური სასწავლო გეგმა, მსოფლიო სკოლა მუშაობს ინფორმალური სასწავლო გეგმაზე თუ მულტიდისციპლინური გუნდით ჩართულია ამ პროცესში?

მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება არის პირველადი, რითაც განისაზღვრება აქვს თუ არა ბავშვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, კეთდება რეკომენდაციები, რაზე გაამახვილოს ყურადღება სკოლაში, რა მიმართულებით იმუშაონ სპეციალისტებმა. შემდეგ სკოლა ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფს, რომელშიც შედიან სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, შეიძლება მოიწვიონ დამატებითი სპეციალისტი. სკოლის ისე ჯგუფი უზ-

რუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მშობლის განცხადების საფუძველზე სკოლა ბავშვს არარეგისტრირებს როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, მაგრამ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების შედეგად არ დადასტურდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება?

ამ შემთხვევაში იწერება დასკვნა, რომ ბავშვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება არ დაუდასტურდა და, ამ დასკვნის საფუძველზე, რეგისტრაცია უქმდება. თავისთავად, შემდგომში მშობელს შეუძლია, რეგისტრაციის სხვა ეტაპებზე დაარეგისტრიროს შვილი, ხოლო ეს ადგილი გამოყენებული იქნება იმ ბავშვისთვის, ვისაც ნამდვილად აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება.

პირველი ეტაპი სწავლა, შემდეგ კლასებში ფასდება ბუნდის მიერ მოსწავლედ და ვლინდება ბავშვის სპეციალური საჭიროება?

დაახლოებით შემთხვევებიც გვაქვს. შესაძლებელია, ნებისმიერ კლასში, სასწავლო პროცესში გამოვლინდეს სირთულეები. როცა მასწავლებელი ხედავს, რომ მოსწავლეს, თანატოლებთან შედარებით, სირთულე აქვს სასწავლო პროგრამის დაძლევის დროს, შეუძლია მშობელს მიანოდოს ინფორმაცია და შემდეგ, შესაბამისი პროცედურების დაცვით, ჩვენც მოგვმართოს. მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს მოსწავლეს და შედეგების შესაბამისად რეაგირებს ახდენს სკოლა.

რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა სისტემაში და როგორი იყო მათთვის პანდემიის პერიოდის განათლება?

თებერვლის მონაცემებით, სისტემაში 9734 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა. რა თქმა უნდა, პანდემიამ დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა მთლიანად სისტემა და, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებაც. სამინისტრო მაქსიმალურად ეცადა, გაეთვალისწინებინა ახალი რეალობის გამოწვევები და ისეთი პირობები შეექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეების ჩართვას დისტანციურ სასწავლო პროცესში. სკოლები ყველა რესურსს მაქსიმალურად იყენებდნენ - ელექტრონულ პლატფორმებს, ტელესკოლას, ტელეფონით კომუნიკაციას, აგზავნიდნენ დავალებებს ელექტრონული ფოსტით. იმის გათვალისწინებით, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალო ინტერაქციას, სამინისტრომ დაუშვა შესაძლებლობა, რაც დისტანციური სწავლების წესშიც ჩაიწერა, რომ მშობელთან შეთანხმებით, სკოლას შეეძლო წინასწარ განერილი განრიგითა და დროით, უსაფრთხოების ყველა წესისა და რეგულაციების დაცვით, მოსწავლისათვის შეეთავაზებინა სკოლის რესურსოთაში სპეციალურ მასწავლებელთან, ფსიქოლოგსა და სხვა სპეციალისტებთან მეცადინეობა.

მას შემდეგ, რაც სკოლები დასწრებით სწავლებაზე გადავიდნენ, სამინისტრომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს მისცა არჩევანის შესაძლებლობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სურვილის შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ სკოლაში დასწრებით სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, ესარგებლათ ონლაინ სწავლების მოდელით. ონლაინ სწავლების ფორმის არჩევა ხდება სტანდარტული პროცედურების დაცვით.

დაგოლოს, როგორია ტენდენცია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რეგისტრაცია ზრდადია თუ კლება?

პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რეგისტრაცია – მესამე წელია რაც ხორციელდება. წინა ორი წლის მონაცემი, დაახლოებით, თანაბარი იყო. საშუალოდ, 450-მდე მოსწავლე რეგისტრირდებოდა პირველ ეტაპზე. წელს ჯერ არ ვიცით როგორი სურათი იქნება.



საგანმანათლებლო ლიდერი

თანამედროვე განათლების სისტემაში მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის როლი



ზარინა ჰუსნიევა
სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეშტიის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ქართული, როგორც მეორე ენის უფროსის მასწავლებელი

კონტროლი და მონიტორინგი. სკოლის ცხოვრებაში ყველა თანამშრომელი, მოსწავლე და მშობელი ჩართული. ყველა გასაკეთებელი სამუშაო ხორციელდება ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე. ყველამ კარგად ვიცით ჩვენი ფუნქციები და მოვალეობები. სამინისტროდან, რესურსცენტრის მეშვეობით, მიღებულ ყველა ინფორმაციას დროულად ვანგვით თანამშრომლებს, მოსწავლეებს ან მშობლებს. საერთო მიზნის მისაღწევად ერთმანეთს ვეხმარებით.

სკოლის პერსონალის 40% ფლობს სახელმწიფო ენას, მაგრამ ძირითადი პრობლემა მაინც სახელმწიფო ენის არასრულფასოვანი ცოდნა რჩება ყველა თანამშრომლისთვის. ენის არცოდნის ძირითადი მიზეზი კომუნიკაციის ნაკლებობაა.

წარმატებულნი ვართ, რადგან ჩვენს სკოლას სერტიფიცირებული კადრები ჰყავს, ბევრი კურსდამთავრებულია ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, ვმონაწილეობთ სხვადასხვა პროექტში, ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ორგანიზაციასთან და რაც მთავარია, ჩვენი სკოლა ჩაერთო „ბილინგვურ განათლებაში“, რომლის ფარგლებში ძალიან აქტიურად ვმუშაობთ.

გუნდური მუშაობის როლი

„ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ – ეს არის გუნდის საუკეთესო მახასიათებელი. გუნდური მუშაობის როლი თანამედროვე განათლების სისტემაში ძალზე მნიშვნელოვანია. სკოლის მისიიდან გამომდინარე, საერთო მიზნის მისაღწევად მიზანმიმართულად მუშაობს გუნდი.

პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საკათედრო ჯგუფები; ინტეგრირებული, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, წყვილებად ან ჯგუფურად გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება – ეს არის სკოლის გუნდი და გუნდური მუშაობა. ყველა ჩამოთვლილს ერთმანეთის შემავსებელი თვისებები აქვს, მუშაობენ ერთი მიზნისათვის. გუნდის წევრს უნდა ჰქონდეს ურთიერთდაქვემდებარებულობის (ფუნქციონირება ერთმანეთს), ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების, გადაწყვეტილებული ფუნქციების შესრულების უნარი და სხვა. ყველაზე მთავარი – თუ ხარ ჩამოთვლილი გუნდის წევრი, უნდა დატოვო შენი საკუთარი „მე“.

სკოლის დირექტორი – რას მოითხოვს მისგან სახელმწიფო, საზოგადოება

დირექტორი არის საგანმანათლებლო ლიდერი, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სწავლებისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა მოსწავლეთა პიროვნული და აკადემიური განვითარებისათვის. იგი წამყვან როლს ასრულებს პოზიტიური სასკოლო კულტურის ფორმირებაში, განვითარებასა და შენარჩუნებაში. დირექტორის, როგორც სკოლის ლიდერის უმთავრეს პასუხისმგებლობას წარმოადგენს უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნა, დაინტერესებული პირების ჩართულობით, გამჭვირვალე პროცესების წარმართვის უზრუნველყოფა სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და თანამშრომელთა პროფესიული წინსვლისათვის.

განათლება და განათლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება – ეს ის ძირითადი მიზანია, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება სკოლის დირექტორისგან მოითხოვს და ისიც, უპირველეს ყოვლისა, ამ კუთხით მუშაობს. საქართველოს სახელმწიფო მრავალი ნაბიჯი გადადგა განათლების სისტემის გასაჯანსაღებლად, რამაც შესაძლოა განათლების უკეთეს ხარისხამდე მიგვიყვანოს.

რამდენად აისახება კონკრეტული სკოლის სასწავლო მოდელები მონსწავლეების შედეგებზე

მოზარდის განათლებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი ვართ ჩვენ – სკოლა, ოჯახი, სახელმწიფო. ამიტომ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა მომავალი თაობა გახდეს უკეთ ალბრდილი და პიროვნულად ჩამოყალიბებული.

დღევანდელი სკოლის მთავარი მიზანი და გამოწვევა

დირექტორებისთვის შექმნილი ახალი სტანდარტის ძირითადი მოთხოვნების – საგანმანათლებლო ლიდერობის, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და ანგარიშვალდებულების, თვითგანვითარებისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების, თემთან, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის შედეგად იცვლება სკოლის სისტემა. სწორედ ამ სტანდარტის მოთხოვნებზე დაყრდნობით შეიქმნება სკოლის მისია.

მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

მუდმივად ვზრუნავთ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, ვეხმარებით კოლეგებს მათი საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშავებასა და განხორციელებაში (ზმირად ვატარებთ მონიტორინგს, კვლევას, რათა დაგვაზუსტოთ, რა კუთხით ესაჭიროებათ პედაგოგებს პროფესიულ განვითარებაში დახმარება). სკოლის შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილია ყველა პირობა, რათა მასწავლებლებმა გაიღრმავონ პროფესიული ცოდნა და განვითარდნენ უნარები. როგორც სკოლის ადმინისტრაციის რესურსცენტრისგან დროულად ინფორმირებული საგანმანათლებლო სიახლეებით, ასევე ყველა მასწავლებელი ინფორმირებული ამ სიახლეებით. მნიშვნელოვანია ტრენინგებში აქტიური ჩართულობა, სიახლეებზე წვდომის კუთხით. გარდა პროფესიული ცოდნისა და უნარის ამაღლებისა, რადგან ჩვენი სკოლა სომხურსექტორიანია, მასწავლებლები სახელმწიფო ენის შემსწავლელ ტრენინგებზეც დიდი მონდომებით დადიან.

სკოლის დირექტორი – საგანმანათლებლო ლიდერი

დირექტორი საგანმანათლებლო ლიდერია. როგორც არ უნდა ეცადო, გახდეს ლიდერი, ვერ შეძლებ, თუ გარემომყოფებმა არ გადარჩეს. ლიდერის როლი აღმოცენდება მრავალმხრივი წვრთნის შედეგად, როცა დირექტორი, სკოლაზე საუბრისას, იყენებს სიტყვას „ჩვენ“, ხედავს შეცდომებს და ზრუნავს მათ გამოსწორებაზე.

ვეთანხმები მოსაზრებას, რომ თუ სკოლის დირექტორს სათანადოდ არ ესმის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხები, კარგი საგანმანათლებლო ლიდერი ვერ იქნება და მას არც სკოლა აღიარებს ნამდვილ ლიდერად. დირექტორი, როგორც საგანმანათლებლო ლიდერი, კარგად უნდა ფლობდეს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხებს, უნდა უზრუნველყოფდეს სკოლაში ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, რაც გულისხმობს უსაფრთხო, კეთილგანწყობილი, ინკლუზიური, წამახალისებელი, თანამშრომლობითი და გენდერულად დაბალანსებული გარემოს შექმნას.

წარმატებული სკოლისთვის აუცილებელი ფაქტორები

ამ კითხვის პასუხს დავიწყებ ბოძ დილანის სიტყვებით: „წარმატებულია ადამიანი, რომელიც დილით ადრე იღვიძებს და საღამოს გვიან წევა, ხოლო შუალედში კი აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც მას სურს“. სრულად ვეთანხმები ამ მოსაზრებას. წარმატება ნიშნავს მიაღწიო მიზანს, იმას, რაც მნიშვნელოვანია; გამოიყენო გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი, რათა იყო წარმატებული; შექმნა და დატოვო ამ ცხოვრებაში ღირებული და ფასეული.

ძირითადად გავიხსენებ შემდეგ ფაქტორებს: თანამშრომლობა, პასუხისმგებლობა, პუნქტუალობა. იმისათვის, რომ სკოლა გახდეს წარმატებული, ჩემი აზრით, პასუხისმგებლობის უნარია საჭირო, პირველ რიგში, პირადი პასუხისმგებლობა – თვითანგარიში საკუთარ მე-ს, ხოლო შემდეგ – კოლექტიური პასუხისმგებლობა თანამშრომლების, მშობლების წინაშე. მნიშვნელოვანია უნარი, როდესაც ნებისმიერ სიტუაციაში შეგიძლია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომლის შედეგი უვნებელი იქნება, რომ არავინ დაზარალდეს. აუცილებელია თანამშრომლობის ფაქტორი, სკოლის დირექტორს უნდა შესწევდეს თანამშრომლობის უნარი ყველასთან – მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, თემთან, საზოგადოებასთან და ა.შ.

რა ხელშეწყობა სჭირდება დღეს სკოლის დირექტორს

ჩემი აზრით, ჩვენი განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყველაფრით გვერდში გვიდგას და ყველაფრით გვეხმარება, მით უმეტეს ამ პანდემიის პერიოდში, ამ ურთულეს ვითარებაში შევძლებთ ისეთი საგანმანათლებლო პროცესის მართვა, რომლის შედეგად არ დაიზარა ბავშვი.

რა ახალ ტენდენციებს ამჟღავნებს დირექტორების ახალი სტანდარტი

ცხოვრება მუდმივი ცვლილებებია. ჩვენს ცხოვრებასთან ერთად იცვლება, მათ შორის, განათლება – განათლების მოთხოვნები, განათლების მართვა, მართვის მიზნები... ამიტომ, ახალი სტანდარტის ძირითადი მოთხოვნები – საგანმანათლებლო ლიდერობა, სასწავლო პროცესის ადმინისტრირება და ანგარიშვალდებულება, თვითგანვითარება და თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, თემთან, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა – ეს ყველაფერი აუცილებელი და საჭირო მოთხოვნებია, რომელიც დირექტორმა აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს.

როგორ უნდა განხორციელდეს ხარისხის მართვა

განათლების ხარისხზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ მასწავლებელთა გამოცდილება, პროფესიული ცოდნის განვითარება, პროფესიონალიზმი, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება, სკოლის გარემო, ურთიერთობა და თანამშრომლობა, სკოლის მართვა და სასკოლო მეწეულები – ეს ის ელემენტებია, რომლებიც საჭიროა ხარისხიანი განვითარებისათვის.

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, სასკოლო განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა გულისხმობს საგანმანათლებლო პოლიტიკის, პროცედურების, დაგეგმვასთან დაკავშირებული პრაქტიკისა და აქტივობების, შეფასების, რეფლექსიისა და ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარებას სასკოლო განათლებაში. ხარისხის უზრუნველყოფის დასაწვდომად მნიშვნელოვანია ხარისხის


სმარტიფიცირების პროცესი – როგორ უნდა შეარჩიოს სკოლა დირექტორი

მოლიანად ვეთანხმები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებულ მექანიზმს და საჭიროდ ვთვლი დირექტორების სერტიფიცირებას და მონაწილეობას შესარჩევ კონკურსში. სერტიფიცირება ადასტურებს საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის ცოდნას.

უმაღლესი განათლება

აირჩიე უალტერნატივო უნივერსიტეტი სპორტის ყველა სახეობაში

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (186) საქართველოში უალტერნატივო უმაღლესი სასწავლებელია. უნივერსიტეტის უპირატესობა საქართველოსა და მსოფლიო დასაქმების ბაზრებზე მოთხოვნიდა პროფესიების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სპორტის ყველა სახეობის, მედიცინისა და რეაბილიტაციის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის მიმართულებით. კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა მუშაობს პროფესიით (ზოგადი დასაქმების მაჩვენებელი – 95%, პროფესიით – 87%).



უნივერსიტეტი თანამშრომლობს ესპანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ლიეტუვას, თურქეთისა და სხვა განვითარებული ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან – ამჟამად უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი მოხილვის გზით (მათ შორის, Erasmus + პროგრამით) სწავლობს ევროპის წამყვან სპორტის უნივერსიტეტებში.

დარგის წამყვანი მეცნიერებისა და პრაქტიკოსი პროფესორ-მასწავლებლების სასწავლო პროცესში ჩართულობისა და საერთაშორისო პარტნიორობის მეშვეობით, უნივერსიტეტი სტუდენტებს ხელს უწყობს განავითარონ თავიანთი ცოდნა და უნარები, რათა გახდნენ თავიანთი საქმის პროფესიონალები და დასაქმდნენ, როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიოს ბაზარზე. სპორტის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები არიან.

აღსანიშნავია, რომ სპორტის უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად ვარჯიშობენ და ივითარებენ სპორტულ უნარებს, რათა მოიპოვონ ლიცენზიები სპორტის სხვადასხვა სახეობაში და 2021 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მიიღონ მონაწილეობა.



აიბჩიე სპორტის უნივერსიტეტი (186) – ჩემპიონები სწავლობენ აქ!

რას სთავაზობს სპორტის უნივერსიტეტი ახიტუარინტებს?

- ✓ საინტერესო და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას
- ✓ სწავლის საფასურის გადახდის ყველაზე მოქნილ სისტემას
- ✓ სტიპენდიებს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისათვის
- ✓ სასწავლო პროცესს, როგორც აუდიტორიუმში, ისე, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სპეციალურ სპორტულ დარბაზებში, სტადიონებზე, კორტებზე, წამყვან სამედიცინო/სარეაბილიტაციო კლინიკებში და ა.შ.
- ✓ პროფესიულ პრაქტიკას – ყველა პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, როგორც საუნივერსიტეტო ბაზრებზე, ისე ფედერაციებთან, სპორტულ კლუბებთან და სარეაბილიტაციო ცენტრებთან თანამშრომლობით.
- ✓ წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე კვლევების განხორციელებას
- ✓ დასაქმებას – დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად.
- ✓ საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში, გაცვლითი პროგრამით, სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას.
- ✓ უნივერსიტეტი ორიენტირებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობაზე.

საბაკალავრო პროგრამები

- ✓ ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი) – 2 250 ლ
- ✓ ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია – 2 250 ლ
- ✓ ბიზნესის ადმინისტრირება – 2 250 ლ

სამაგისტრო პროგრამები

- ✓ სპორტის მენეჯმენტი – 2 250 ლ
- ✓ ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი) – 2 250 ლ
- ✓ ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია – 2 250 ლ

პროფესიული (60-კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამა

- ✓ მასწავლებლის მომზადების პროგრამა (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი) – 1 850 ლ
- ✓ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – 2 250 ლ

ჩარიცხვის წესი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდებით.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) საბაკალავრო პროგრამა

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ 2 საგნის (ქართული ენა და ლიტერატურა და უცხო ენა) და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდა სპორტული ტურის ჩაბარება.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ! შიდა სპორტული ტური ითვალისწინებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემომწვდამს, რომელიც პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის წინაპირობაა. სპორტული ტურის ნორმატივები, რომელიც აბიტურიენტის საერთო ფიზიკური მომზადების შესაფასებლად გამოიყენება, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებსაიტზე (www.sportuni.edu.ge). ამასთან, სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ნორმატივების პაკეტი განსხვავებულია.

უნივერსიტეტში შიდა სპორტულ ტურზე ჩაბარების წესები 2021 წლის 20 მარტიდან იწყება!



აიბჩიე სპორტის უნივერსიტეტი (186) – ჩემპიონები სწავლობენ აქ!

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდებით.

დღეისათვის, მედიცინის ყველა დარგში, სწორედ რეაბილიტაციაა მყარი გამოჯანმრთელების, შრომისუნარიანობის აღდგენის, რეციდივის პრევენციისა და ინვალიდიზაციის მინიმალიზაციის საფუძველი.

რეაბილიტაცია მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი მოთხოვნიდა და მაღალანაზღაურებადი დარგია. ფაკულტეტზე ისწავლება რეაბილიტაციაში გამოყენებული თანამედროვე მიდგომები, მათ შორის, აპარატურული სარეაბილიტაციო მეთოდები, ფიზიოთერაპია და ფიზიკური ვარჯიშები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდებით.

საგანმანათლებლო პროგრამაში აქცენტი კეთდება ისეთ სპეციფიკურ სასწავლო კურსებზე, როგორცაა სპორტის მენეჯმენტი, სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა, სპორტის სამართალი და სხვ. კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა, დასაქმდეს სპორტის ფედერაციებში, სპორტულ კლუბებში, სპორტული გუნდების მენეჯმენტში და სხვ.

მასწავლებლის მომზადების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადება, შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით უზრუნველყოფა.

პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო სასწავლო გრანტით. 2020-2021 სასწავლო წელს სახელმწიფომ სრულად დააფინანსა 30 ადგილი.

სპორტის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა სამართო სამაგისტრო და შიდა გამოცდებით ხდება.

სტიპენდია

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტია ხარისხზე ორიენტირებულობა, შესაბამისად, ნამახალისებელი აქტივობები ცოდნის და უნარების განვითარებაზეა მიმართული. სტიპენდია გაცემა როგორც A, ასევე B შეფასებაზე (91-დან 100 ქულამდე სტუდენტებს (A შეფასება) – 150ლ, 81-დან 90 ქულამდე (B შეფასება) – 100ლ). უნივერსიტეტში 700 სტუდენტი სწავლობს, მათგან 80 სტიპენდიანტია.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ამავდროულად მაღალი მიღწევის მქონე სპორტსმენები არიან, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.



აიბჩიე სპორტის უნივერსიტეტი (186) – ჩემპიონები სწავლობენ აქ!

საუბრაო ლიტერატურაზე

ერებას არ უნდა ესროლოს. გოგონა კრებითი სახეა ქალისა, უბერებელი ევაა, რომელიც სილამაზისა და სიკეთის ჩამთევს...

„ვინ რა იცის, მართლა რითი მთავრდება სიკვდილი?! ვინ რა იცის, რა არის კაცის სიცოცხლე?! არაფერი, წამი, წუთი, შემოპკრა ქარმა და სწრაფ გააქრო, მაგრამ, თუკი, როგორმე წარსულში შებრუნდი, შესძელი, მერე კი წარსულიც გადალახე, მარადისობაში აღმოჩნდები თურმე და აღარასოდეს მოკვდები...“

კარგი იქნება, თუკი მოსწავლეებს ყურადღებას გაავამახვილებინებთ პოემის არქიტექტონიკაზეც. თეთრი ლექსის ფორმით სათქმელის გადმოცემა იმაზე მიუთითებს, რომ სათქმელი აღემატება რითმულად დახვეწილ, ეფფონიური ეფექტებით მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ძალა მოგმართავს სიკეთის კეთებისკენ, მართალი, ჭეშმარიტი საქციელისკენ.

ოთარ ჭილაძემ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურა უმაღლეს ნიშნულზე აიყვანა და მსოფლიო მწერლობის ორბიტაზე თავისი განსხვავებული სიტყვა თქვა. დანიელი მწერალი, ლარს ბონენევი „რკინის თეატრის“ დანიურ ენაზე გამოქვეყნებისას წერდა, რომ „მსოფლიო რუკაზე საქართველო დაბრუნდა“...

1999 წელს, როცა ოთარ ჭილაძე სტოკჰოლმში ნობელის პრემიის ნომინანტად დასახელდა, რუსულ საიტებზე(!) ნობელის კომიტეტის არაობიექტურობით აღმფთვებული რუსი კრიტიკოსები წერდნენ: „ოთარ ჭილაძეს ისევე არ სჭირდება ნობელის პრემია, როგორც ჩაიკოვსკის – გრემი“.

ბა იყო. არც პრეზიდენტს შეუწუხებია თავი, ჩემი ჩარევით ხელი არ შევეშალო და არც სხვა ინსტანციებში არ ყოფილა შესაბამისი რეაქცია. ასე თუ ისე, ჩვენ რეალური ნობელის პრემია (ლიტერატურის დარგში) დავკარგეთ. ვფიქრობ, ჭილაძის სიტყვის მადლი და ძალა მეტად უნდა შევავარძნობინოთ ჩვენს ახალგაზრდებს, თორემ ეს თაობა ოთარ ჭილაძეს კედლებსა თუ საიტებზე მინერალი ორიოდვე ფრაზით („შენ ხარ, რაც უნდა აქამდე მეთქვა, /შენ ხარ ოთახში პაერზე მეტი“) იცნობს.

მაია მენთაშაშვილი

ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. გურამ დოჩანაშვილი, ოთხი მოთხრობა, „ორნი აქა-იქა“, თბილისი, 1991, გვ., 3-26;
2. მანანა კვაჭანტირაძე, ოთარ ჭილაძე 75, ყურნ. „არლი“, Monday, July, 2009, „ლიტერატურა – ცხელი შოკოლადი“;
3. სოსო სიგუა, ოთარ ჭილაძის პოემები, ქართული ენა და ლიტერატურა, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ტომი V, თბილისი, 2009;
4. ოთარ ჭილაძე, რომანი „მარტის მამალი“, თბილისი, 1987;
5. ოთარ ჭილაძე, ლექსები, პოემები, გამომც. „პეგასი“, თბილისი, 2010, „ადამიანი გაზეთის სვეტში“;
6. ოთარ ჭილაძე, რომანი „ყოველმან ჩემთან მპოვნელმან“, თბილისი, 1981.
ინტერნეტრესურსი:
1. http://mastsavlebeli.ge/?p=19323
2. https://www.youtube.com/watch?v=kPfd63zJwv0

სასწავლო ენა არაქართულენოვან სკოლებში

ჩემი კელაგობიური ოღისაა

„ეს რა სოფელი გაფურჩქინლა ასე ლამაზი, კლდით ატეხილი კიდევებით ბალები სუნთქავს, ჩანს უფლისციხის სილუეტი დევის ნახატი, გამლილა ვაზი და ფუტკარსაც სიმღერა უთქვამს“...



ასე ლამაზად დახატა ქართლის შუაგულში მდებარე სოფელი ქვახერელი არნოდ ჩიქობავამ. აქ დავიბადე, ვავიზარდე, დავამთავრე საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა გავაგრძელე ჯერ გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში, შემდეგ (რა გინდ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს პროფესიათა ასეთი კონტრასტი) ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

სოფელში დავოჯახდი და სოფლის სკოლაში დავიწყე მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 16 წელი დიდი სიყვარულით ვაკეთებდი ჩემს საქმეს.

იყო ბევრი წარმატება, სერტიფიცირება 3 საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, დაწყებითი კლასები I-IV, ქართული, როგორც მეორე ენა).

გარკვეული მიზეზების გამო ჩემი პედაგოგიური მოგზაურობა ქვემო ქართლში გაგრძელდა – ქ. რუსთავის ყ. შარტავას სახელობის №4 საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა. აქ იწყება ჯიპრაიდის ტრენინგები, რომელიც ყოველთვის სასიამოვნოდ მახსენდება. ტრენინგები – ია რობაქიძე და ნონა არევაძე-კოტორაშვილი. მათგან ვიგებ, რომ ისინი უკვე

წლებია ეთნიკურ უმცირესობებს ქართულ ენას ასწავლიან. დიდი ინტერესი გამიჩნდა და გადავწყვიტე მეცადა. პროექტს მაშინ „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ ერქვა. დავრეგისტრირდი, ვავიარე გასაუბრება და რამდენიმე ხნის შემდეგ ხარი გაისმა ტელეფონზე სასიამოვნო ამბით – „გილოცავთ, თქვენ წარმატებით გაიარეთ გასაუბრება“... და ამიყვანეს.

ჩემი პედაგოგიური ოღისეა ამჟამად ჯავახეთში გრძელდება.

ახლა -20, -21 გრადუსი ყინვაა. ზღვის დონიდან 1700მ-ზე, მთის ძირში შეფენილი სოფელი, მოლიპულ გზაზე მიმავალი ცვდილობ, ფეხი არ დამიცდეს. თან ერთი სული მაქვს, სკოლაში შევასწრო ამ გაუსაძლის ყინვას. გარეთ ყველაფერი უკაცრიელი მეჩვენება, მაგრამ სკოლის კარს ვაღებ და ბავშვების ჟრიაშილი ისმის, სადაც უკვე მესმის ბევრი ქართული სიტყვა. „გამარჯობას“ ხომ ყოველ შემხედრავს მეუბნებიან, დღემი რამდენჯერაც შემხვდებიან. თვალბუკი სხივი უბრწყინავთ.

აქ მთაში, ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავს ჩამოსულ, სტუმარ მასწავლებლებს მიმართ. მე მგონი მე სტუმრად აღარ ვითვლები, უკვე მათი ნაწილი ვარ. 8 წელი სტუმრობა ვის გაუგია?!

ამ წლებს უშედეგოდ არ ჩაუვლია. მრავალი წარმატება, სიხარული, სასიამოვნო დღეები, სირთულეებიც მახსენდება მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად. ენით აღუწერელი შრომა, გათენებული ღამეები, ფაქტობრივად, სკოლის მკვიდრი ვარ, რომელიც 8-9სთ-ზე და ბევრჯერ 12 საათზეც ვტოვებდი სკოლას, მაგრამ შედეგები დაღვას ვავინწყებ, სტიმულს ვაძლევს, უფრო მეტი აკეთო. სანაცვლოდ, ყოველ წელიწადს ქართულ უნივერსიტეტებში სტუდენტთა რიცხ-

ვი იზრდება, ქართული ენის კურსი, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება, 18 მასწავლებლიდან სკოლაში 9 სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომელთაც ფასილიტაციას ვუწვევდი. პროექტები, ღონისძიებები, ექსკურსიები... და ამ გზაზე ყოველთვის ვგრძნობდი პროექტის მხარდაჭერას.

ვფიქრობ, ძალიან საინტერესო პროფესია მაქვს – მე მასწავლებელი ვარ.

მასწავლებლის მიზანი ხომ ის არის, საგნის სწავლებით მოსწავლის ცხოვრება შედინერი და საინტერესო გახადოს, დაეხმაროს საკუთარი თავის, საკუთარი ადგილის პოვნაში. წლების შემდეგ, როცა განვითარებულ, სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებულ ჩემს მოსწავლეებს ვხვდები, ვრწმუნდები, რომ მე და ჩემმა საგანმა, ჩემმა პროგრამამ „არაქართულენოვანი სკოლების პროფესიული მხარდაჭერა“, კოლეგებმა, მოვახერხეთ ძალიან კარგი საქმის კეთება – საქართველოს მოქალაქის ჩამოყალიბება. არ აქვს მნიშვნელობა რა პროფესიის იქნებიან, მთავარია, ისინი მოქალაქეები არიან და მათი ინტეგრაცია მოხდა ქართულ საზოგადოებასთან, მათ იპოვეს საკუთარი ადგილი ცხოვრებაში. ქართული ენის სწავლებით მათ ვუმარტივებთ ცხოვრებას და ჩაკეტილი სივრციდან ფართო ასპარეზზე გასვლის საშუალებას ვაძლევთ.

ყოველ კვირას მივუყვები ჯავახეთის გზას. არ ვიცი როდემდე გაგრძელდება ჩემი პედაგოგიური ოღისეა, მაგრამ ვიცი, რომ ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია. ვისურვებდი, რომ ბოლოს თამამად მეთქვას – „მისია შესრულებულია“.

ვიენარა მღვდარიშვილი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ მაჭატიის საჯარო სკოლის პედაგოგი



კომპლექსური დავალება



ნოვალ ალიევი სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ აკაურის საჯარო სკოლის დირექტორი, უფროსი მასწავლებელი

მართკუთხა პარალელპიპედი და მართკუთხედის ფართობი ზედაპირის და ნახნავის ფართობის გამოთვლა

საბანი: მათემატიკა კლასი: V

მოკლე აღწერა: დაეხმარე ჩიტებს, ძაღლებს და კატებს იცხოვრონ შენ მიერ გაკეთებულ სახლებში. გაეცანი დავალებს და გააკვირე, რა არის საჭირო იმისათვის, რომ სახლის მაკეტი შექმნა.

კომპლექსური დავალების პირობა:

ქალაქის მერიამ გადაწყვიტა, რომ ჩიტებისთვის, კატებისა და ძაღლებისთვის გააკეთოს მართკუთხა პარალელპიპედი და კუბის ფორმის სახლები. წარმოიდგინე, რომ შენ დავალება, მუყაოსგან გააკეთო აღნიშნული სახლების მაკეტები.

- თავად განსაზღვრე სახლების ზომები;
• სახლს უნდა ჰქონდეს მართკუთხედის ან კვადრატის ფორმის ერთი ღიობი (შესასვლელი);
• მერიას შესთავაზე სახლის, მინიმუმ, 6 სხვადასხვა ვარიანტი;
• განსაზღვრე, თითოეულის ასაგებად რამდენი სანტიმეტრ კვადრეტი მუყაო დაგჭირდება (ზედაპირის ფართობი).

შენ მიერ შექმნილ „პრეზენტაციას“ ხაზგასმით წარმოაჩინე: სახლების შლილების ნახაზები; თითოეული სახლის სიგრძე, სიგანე, სიმაღლე; თითოეული სახლის ზედაპირის ფართობის გამოთვლის გზა; იმ ნახნავის („სახლის კედლის“) დარჩენილი ნაწილის ფართობის გამოთვლის გზა, რომელზეც კარი ამოჭერი.

უპასუხე შეკითხვებს:

- რომლის დახაზვა და შემდეგ აგება უფრო ადვილი იყო: კუბის თუ მართკუთხა პარალელპიპედის? რატომ?
• რას უდრის ყველაზე პატარა ნახნავის ფართობი? ყველაზე დიდი ნახნავის ფართობი?
• რამდენი ნახნავის ნყვილი მიიღე, რომლებსაც ტოლი ფართობი აქვთ? (უპასუხე ერთ-ერთი სახლის მაგალითზე).

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- გაეცნო, რომ მართკუთხა პარალელპიპედის გვერდები არის მართკუთხედები (შესაძლოა, მათ შორის კვადრატებიც იყოს), კუბისა კი – აუცილებლად კვადრატები;
• პირველ რიგში, ფურცელზე დახაზე სახლების შლილი, შემდეგ მის მიხედვით გამოჭერი მუყაოს მართკუთხედები და კვადრატები;
• დავალების მარტივად შესასრულებლად შეგიძლია გამოიყენო ქვემოთ მოცემული ცხრილი:

Table with 4 columns: სახლის, სიგრძე (სანტიმეტრებში), სიგანე (სანტიმეტრებში), სიმაღლე (სანტიმეტრებში). Rows include ჩიტი, ძაღლი, კატა.

სიჩქარის გაზომვა მოხილური ტელეფონით

საბანი: ფიზიკა კლასი: VII

მოკლე აღწერა:


დღეს ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად ვითარდება, ვერც კი ვასწრებთ იმის გაზრებას, რამდენად ეფექტურია მათი გამოყენება სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისთვის. თანამედროვე მობილური ტელეფონი მოძრავი ლაბორატორიაა. დღეს განვიხილავთ თუ როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ მობილური ტელეფონი სიჩქარის განსაზღვრის მიზნით.

სამიზნე დავალება: მოძრაობა და ცვლილებები

შედეგები: ფიზ.საბ. 1, 2, 3, 6

საკითხი: თანაბარი მოძრაობის სიჩქარე კომპლექსური დავალების პირობა:

თანამედროვე მობილური ტელეფონით მარტივად შეგიძლია განსაზღვროთ მოძრავი სხეულის სიჩქარე. დაეუშვათ, გვინდა განსაზღვროთ მოძრავი ველოსიპედის სიჩქარე. ყველაზე მარტივად ამის გაკეთება თავად ველოსიპედისტს შეუძლია: თუ შენს მობილურ ტელეფონში ჩართავ Google Map-ს, მონიშნავ რაიმე მისამართს და ჩართავ ნავიგაციას, ველოსიპედით მოძრაობის დანყების შემდეგ, მობილურის ნავიგატორის პროგრამის სარკმელში დაწვრილად მოძრაობის სიჩქარის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, ამ შემთხვევაში, უნდა გამოიჩინოთ სიფრთხილე – მობილური ტელეფონი საჭეზე სპეციალური სამაგრის საშუალებით უნდა დავამაგროთ. მოძრავი ველოსიპედისტის სიჩქარე გადაღებული ვიდეოფაილის მეშვეობითაც შეგიძლია გამოვთვალო. ამ მეთოდის გამოყენებისთვის წინასწარ უნდა ვიცოდეთ მობილური ტელეფონით ვიდეოს გადაღების სისწრაფე, რამდენ კადრს იღებს წამში. გადაღების დროს მობილური ტელეფონი უნდა დავიკავოთ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და გადაღება ვანარმოთ მოძრავი ველოსიპედისტივს, მინიმუმ, 50 მეტრით დაშორებული წერტილიდან (სასურველია უფრო მეტი). გაუშვით ვიდეოფაილი ტელეფონში ან მობილურის ეკრანზე Stop კადრის რეჟიმით და სახაზავით გაზომეთ მანძილი მამდევენო ორ კადრს შორის. განსაზღვრე მასშტაბი. მაგალითად: რამდენჯერ მეტია ველოსიპედის რეალური ზომა მობილურის ეკრანზე გამოსახულ ზომაზე. იფიქრეთ, ზემოთ მოცემული მონაცემებით, როგორ გამოვთვალოთ ველოსიპედის სიჩქარეს და მოამზადეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:



DÜZBUCAQLI PARALELEPIPEDIN VƏ DÜZBUCAQLININ SAHƏSI SƏTHİNİN VƏ ÜZLƏRİNİN SAHƏSİNİ HESABLAMAQ

FƏNN: Riyaziyyat

SINIF: V

GIRIŞ: Paralelepiped; Sahə;Səthinin sahəsi.

Qısa Təsvir:

Sizin qurduğunuz evlərdə quşların, itlərin və pişiklərin yaşamasına kömək edin. Tapşırıqla tanış olun və ev sxemini yaratmaq üçün nə lazım olduğunu öyrənin.

Hədəf anlayışı: Həndəsi cisimlər; Ölçmə tədbirləri və Vasitələr.

SUAL:

- Düzbucaqlı paralelepipedin və düzbucaqlının sahəsi;
• Səthinin və üzlərinin sahəsini hesablamaq.

KOMPLEKS TAPŞIRIĞIN ŞƏRTLƏRİ:

Şəhər bələdiyyəsi quşlar, pişiklər və itlər üçün düzbucaqlı və kub şəkilli evlər düzəltməyə qərar verdi. Təsəvvür edin ki, sizdən adı çəkilən evlərin modellərini kartondan düzəltməyiniz xahiş edildi.

- Evlərin ölçülərini özünü müəyyənləşdirin;
• Evin düzbucaqlı və ya kvadrat şəkilli girişi olmalıdır (giriş);
• Şəhər bələdiyyəsinə ən azı 6 fərqli variant təklif edin;
• Hər birini qurmaq üçün neçə kvadrat santimetr karton lazım olacağını müəyyənləşdirin (səthinin sahəsi).

ETDIYINIZ “TƏQDIMATDA” VURĞULAYIN:

- Evlərin konturlarının açılışı.
• Hər bir evin uzunluğu, eni, hündürlüyü
• Hər bir evin səthinin sahəsini hesablama yolu
• Qapını kəsdiyiniz üzün qalan hissəsinin ("evin divarı") sahəsini hesablamaq yolu

SUALLARA CAVAB VERİN:

- Hansı birini çəkmək və sonra qurmaq daha asandır: bir kubu, yoxsa düzbucaqlı paralelepiped? Niyə?
• Ən kiçik üzün sahəsi nəyə bərabərdir? Ən böyük üzün sahəsi nəyə bərabərdir?
• Eyni sahəli neçə cüt üzlər aldınız? (Evlərdən birini nümunə götürün və cavab verin)

KOMPLEKS BİR TAPŞIRIĞIN ÜZƏRİNDƏ İŞLƏMƏK ÜÇÜN PRAKTİK MƏSLƏHƏTLƏR:

- Xatırladaq ki, düzbucaqlı bir paralelepipedin tərəfləri düzbucaqlıdır (kvadratda ola bilər) kubda isə tərəflər mütləq kvadratdır.
• Əvvəlcə vərəqdə evlərin açılış konturlarını çəkin. Sonra kartondan düzbucaqları və kvadratları ona görə kəsin.
• Tapşırığı asanlıqla başa çatdırmaq üçün aşağıdakı cədvəldən istifadə edə bilərsiniz:

Table with 4 columns: Ev, Uzunluq (santimetrlə), En (santimetrlə), Hündürlük (santimetrlə). Rows include Quş, İt, Pişik.

CİB TELEFONU İLƏ SÜRƏTİN ÖLÇÜLMƏSİ

FƏNN: Fizika

SINIF: VII

GIRIŞ:

Cib telefonu ilə sürətin ölçülməsi

QISA TƏSVİR:

Bu gün texnologiyalar o qədər sürətlə inkişaf edir ki, onların təhsil və elmi məqsədlər üçün istifadəsinin nə qədər səmərəli olduğunu təsəvvür edə bilmirik.

HƏDƏF KONSEPSİYASI:


Hərəkət və dəyişikliklər

NƏTİCƏLƏR:

MƏSƏLƏ: Bərabər hərəkətli sürət

KOMPLEKS TAPŞIRIĞIN ŞƏRTLƏRİ:

Müasir bir cib telefonu ilə hərəkətli bir cisimin sürətini asanlıqla müəyyən edə bilərsiniz. Tutaq ki, hərəkətdə olan bir velosipedin sürətini təyin etmək istəyirik.



Bir velosipedçinin özünü bunu etməsi çox asandır: Cib telefonunuzda Google Xəritə açarsanız, Hər hansı bir ünvanı vurğulayın və naviqasiyanı aktivləşdirin, Velosipedlə hərəkətə başladıqdan sonra sürətin görüntüləri mobil naviqator proqramının pəncərəsində yazılacaqdır. Qeyd edək ki, bu vəziyyətdə mobil telefonu xüsusi mötərizə vasitəsi ilə sükan mexanizminə bağlamaq üçün ehtiyatlı olmalısınız. Bir video faylı vasitəsilə hərəkətli bir velosipedçinin sürətini də hesablaya bilərsiniz. Bu metoddan istifadə etmək üçün cib telefonunda video yazma sürətini, saniyədə neçə çəkiliş aparacağını əvvəlcədən bilməliyik.

Çəkiliş zamanı cib telefonunu şəkildə göstəriləyi kimi üfüqi vəziyyətdə tutmalıyıq və hərəkət edən velosipedçidən ən azı 50 metr məsafədən çəkiliş aparmalıyıq (daha uzaqdan da olar).


Video faylı telefonunuzda və ya mobil ekranınızda Stop Shot rejimində işləyin və şəkildə göstəriləyi kimi növbəti iki çəkiliş arasındakı məsafəni ölçün. Ölçünü müəyyənləşdirin.



Məsələn: Velosipedin həqiqi ölçüsü mobil telefonun ekranında göstərilən ölçüdə neçə dəfə çoxdur. Yuxarıdakı məlumatları, velosipedçinin sürətini necə hesablayacağını və aşağıdakı tapşırıqları necə hazırlayacağını düşün.

ფსიქოლოგის რჩევა

როგორ დავეხმაროთ უმცროსკლასელ შვილს საშინაო დავალების მომზადებაში



როგორ და რა დონეზე უნდა ჩავერიოთ უმცროსკლასელის მიერ საშინაო დავალების მომზადების პროცესში? რა მიდგომები არსებობს სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად?

ბავშვები ძალიან განსხვავებულები და ინდივიდუალურები არიან, ხასიათითაც განსხვავდებიან. შესაბამისად, სახლში მეცადინეობა და დავალების მომზადების პროცესი ძალიან ინდივიდუალურია.

შვის მიღწევებისადმი. ეს არის მთავარი, რომ მშობელს ჰქონდეს ეს განწყობა, რომ რაც არ უნდა გააკეთოს მისმა შვილმა, ქცევაში არა, სწავლაში, მაინც მის მხარეს იქნება და ყოველთვის მხარს დაუჭერს იმიტომ, რომ ეს არის განვითარების და სწავლის პროცესი.

აქედან გამომდინარე, პირველ კლასებში, შეიძლება ჩვენ დავეხმაროთ ბავშვს და ჩვენი ფორმულირება ასეთია – მე აქვე ვარ, შენ ხარ ყოჩაღი ბიჭი/გოგო, შენ თვითონ მოახერხებ ამ დავალების გაკეთებას, მაგრამ თუ გაგიჭირდება, არ რამეს ვერ გაიგებ, აქვე ვარ და მკითხე.

ეკრანდამოკიდებულება მოზარდებსა და ბავშვებში

სულ უფრო აქტიური ხდება 21-ე საუკუნის ყველაზე გავრცელებული პრობლემა – ეკრანდამოკიდებულება. ეს პრობლემა კიდევ უფრო მითამბადალდება მონაცემების სწავლაზე. რამდენ დროს უთმობს თქვენი შვილი გავრცელებულ პრობლემას? ალბათ გვირს. გაიხილეთ ეს ეკრანდამოკიდებულება



სად არის ზღვარი დამოკიდებულებასა და ადამიანობა შორის?

მოცემულის განსაზღვრა რთულია და ბევრ ფაქტორზე დამოკიდებულია. თანამედროვე მსოფლიოში ტექნიკის გამოყენება ყოველდღიურ აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ, ამავე დროულად, იგი შეიძლება ცხოვრების შეზღუდვის მიზეზიც გახდეს.

ეკრანზე დამოკიდებულება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც „დამოკიდებულება“, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვლინდება ძირითადი სამი მახასიათებელი: 1) ძლიერი ლტოლვა; 2) ტოლერანტობა; 3) აბსტინენცია.

ძლიერი ლტოლვა ყველასათვის ნაცნობი განცდაა, იგივეა, რომ ძლიერად მოვინდეთ ნაყინი. ამ განცდის უგულვებელყოფა და გადალახვა, ხშირ შემთხვევაში, რთულია. იმავეს ამჩნევს მშობელი ბავშვებსა და მოზარდებში, რომლებიც არიან დაკავებული კომპიუტერულ ტექნიკასთან ურთიერთობით და, ხშირ შემთხვევაში, უარს აცხადებენ იმ სხვა აქტივობებზეც კი, რომლებიც მათთვის მანამდე იყო საინტერესო და სასიამოვნო;

ტოლერანტობა გულისხმობს, რომ სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდის მისაღწევად საჭირო ხდება იმავე ეკრანთან გატარებული დროის მეტად და მეტად გაზრდა, რადგან მცირე დრო აღარ არის დამაკმაყოფილებელი და საკმარისი. მაგალითად, თუ თქვენი შვილისთვის ადრე საცხებით საკმარისი იყო 20 წუთის გატარება სოციალურ ქსელში, თანდათან მას სულ უფრო მეტი და მეტი დრო სჭირდება იმავე კმაყოფილების განცდის მისაღწევად;

დაბოლოს აბსტინენცია. ის ხშირად დაკავშირებულია ბრაზთან, სევდასთან და სხვა უარყოფით ემოციებთან და განცდებთან. ბავშვებსა და მოზარდებში შეინიშნება ხასიათისა და ქცევის მკაფიო ცვლილება, როდესაც სმარტფონი ან სხვა საშუალება ჩამორთმეული ან გამორთულია. ამ დროს ისევე ხშირია ძლიერი ლტოლვის განცდასთან დაბრუნება და, შესაბამისად, იკრება მანკიერი წრე, რომლის განწყვეტაც საკმაოდ რთული ხდება. თუ ოდესმე გიცდიათ სიგარეტისთვის თავის დაწება, ყოფილხართ დიეტაზე, მაშინ თქვენთვის ნაცნობი იქნება რამდენად რთულია უარის თქმა იმაზე, რაც ასეთი სასიამოვნოა.

რა სირთულეებს ქმნის ეკრანზე დამოკიდებულება?

ეკრანის გამოყენება ცხოვრების ყველა ასპექტზე ახდენს გავლენას, ის ყოველსამომცველი და ბავშვის ერთადერთი ძირითადი აქტივობა შეიძლება გახდეს. არსებობს გარკვეული ნითელი დროები, რომლებსაც აუცილებლად უნდა მიაქციონ მშობლებმა ყურადღება.

➔ ბავშვს ან მოზარდს არ შეუძლია ეკრანის გამოყენების დროის კონტროლი – მკვლევრები ამას „წარუმატებელ კონტროლს“ უწოდებენ, როდესაც ბავშვს უჭირს მონყობილობის გამოყენების შეწყვეტა;

➔ სხვა აქტივობებისადმი ინტერესის დაკარგვა – ეკრანთან დროის გატარება ერთადერთი მოტივატორია (ნიგნები, სათამაშოები, სპორტი – არ ახალისებს და სიამოვნებს არ ინევენს);

➔ ეკრანის გამოყენება მოზარდისა და ბავშვის მთავარი საზრუნავია – მაშინაც კი, თუ არ იყენებს ეკრანს, იგი საუბრობს მაინქრაფტის, ფორთხანის, იუთუბის და სხვა საშუალებების შესახებ;

➔ ხელს უშლის სოციალიზაციას – სადილობის დროსაც ტელეფონის მოაქვს მაგიდასთან, საუბარში არ ერთვება, მეგობრების წრე ვინროვდება, ეზოში ან სადმე გასვლაზე უარს ამბობს;

➔ ეკრანის გამოყენება ქმნის სერიოზულ ოჯახურ პრობლემას – ხშირია კამათი ეკრანის გამოყენებასთან დაკავშირებით, არ ით-



ვალისწინებს დროის ლიმიტებს, გალიზიანებულია, შესაძლოა იჩხუბოს, გამოხატოს ვერბალური და ან ფიზიკური აგრესია.

როგორ შევიძლია ბავშვებს დამოკიდებულებას ეკრანზე დამოკიდებულებას?

მოცემულ სირთულეს აწყდება თანამედროვე მშობლების დიდი ნაწილი. მათთვის, ვისაც სურს მოცემულთან გამკლავება, არსებობს მრავალი გზა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია, რათა ოჯახური გარემო არ გადაიქცეს გაჯეტებთან ბრძოლის ველად. გვინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საიდან შეიძლება დაიწყოს მშობელმა მოცემულის რეგულირება.

➔ რადგანაც ინტერნეტის მოხმარებისას ბავშვი ან მოზარდი, შესაძლოა, წაანყდეს მისი ასაკისთვის შესაბამისი შინაარსის ინფორმაციას და ვიდეოებს, აუცილებელია, მოცემულს კონტროლი და რეგულირება მშობლის მხრიდან. ყველაზე უმტკივნეულო და მარტივი გზა ინტერნეტის მინოდების დონეზე ინფორმაციის ფილტრაციაა, რაშიც შეგიძლიათ გამოიყენოთ უფასო და მცირე საფასურის მქონე პროგრამები. ისინი თქვენ მიერ მითითებულ შინაარსებს ავტომატურად დაბლოკავენ;

➔ მეორე გზა მეტად უმტკივნეულო კონტროლისთვის არის პროგრამირებადი როუტერების გამოყენება. ეს დაგეხმარებათ დაინახოთ, თუ რომელი ტექნიკა ამავე რაოდენობის შემთხვევაში და დაანუსოთ დროის ლიმიტები;

➔ მშობლის კონტროლის აპლიკაციები. მათი დაყენება შეგიძლიათ მარტივად მობილურ ტელეფონებზე. ამის საშუალებით ნახავთ თუ რამდენ დროს უთმობს თითოეული ოჯახის წევრი ინტერნეტის გამოყენებას, შეძლებთ, დაარეგულიროთ ეს დრო, აუცილებლობის შემთხვევაში გამოაერთოთ გარკვეული დივაისები ქსელისგან და ა.შ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გზა, შესაძლოა, იყოს სპეციალისტის ჩართულობა, კონკრეტულად ფსიქოლოგის, რომელიც დაგეხმარებათ ეფექტურად გაუმკლავდეთ მოცემულ გამოწვევას.

ქათი დალინაჰვიჩი, მელანია ჩარტაჰინა მეტად ჰაბის ფსიქოლოგები

აღამიანებს ხომ ხშირად გვიჩნდება განცდა, რომ ჩვენი ცხოვრება ძალიან მოკლეა? წარმოიდგინეთ, ამ „მოკლე ცხოვრებად“ საშუალოდ, აღამიანი 5 წელზე მეტს ატარებს ეკრანთან(2016 MediaKix). 2015 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოზარდები, წლის განმავლობაში, 90 დღეს – 3 თვეს ატარებენ ეკრანთან. ეს მონაცემი 116%-ით გაზრდილია 1995 წლის მონაცემთან შედარებით.

სეანმანათლო პროექტი იზიარებენ ვალერიანები



10 მარტიდან დიმიტრი შვარცნაძის სახელობის ეროვნული გალერეა ბავშვებისა და მოზარდებისთვის მთავარობით განახლებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

„თავსახეები საიდუმლო“

პროგრამის მონაწილეები გაეცნობიან ნიკო ფიროსმანის შემოქმედებას, დაათვალიერებენ მხატვრის ექსპოზიციას, გადახატავენ და დაასათაურებენ ფიროსმანის ერთ-ერთი ნამუშევრის რეპროდუქციის დეტალს. დეტალების მიხედვით შეეცდებიან მთლიანი სურათის შინაარსის ამოცნობას და შემდეგ, ააწყობენ ერთიან, დასრულებულ გამოსახულებას.



ძველი თბილისი და ვიროსმანის „ვირის ხილი“

პროგრამა ნიკო ფიროსმანის ერთი ნამუშევრის „ვირის ხილი“ ირვლივ არის აგებული და სწორედ მხატვრის საგამოფენო დარბაზში ტარდება. პროგრამის მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას ძველი თბილისის ცხოვრებისა და „ვირის ხილის“ შესახებ. დასკვნით ნაწილში მონაწილეებს დაურიგდებათ აღნიშნული ნამუშევრის რეპროდუქციები გამჭვირავი დეტალებით, რომლებიც თავად უნდა აღმოაჩინონ.



პროექტი „იმერეთი-დედაჩემი“

პროგრამა აგებულია დავით კაკაბაძის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნამუშევრის „იმერეთი-დედაჩემი“ ირვლივ. პროგრამის მონაწილეები ჩაერთვებიან შემეცნებით-სახალისო აქტივობებში



პროგრამა განკუთვნილია 6-12 წლის მოზარდებისთვის, ტარდება ყოველ ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს, ხანგრძლივობა – 60 წუთი.

სამუდგლო გაცეოლო

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

სიხსლე მარტივად

მეცნიერება

ბავშვებისთვის „ახალი განათლება“ მთავარობით

მისწავლის გამომწვევისთვის
ფასი – 27 ლარი

მისწავლის გამომწვევისთვის
ფასი – 17 ლარი

ბავშვის პაპარაბა
15 ლარი

ნიგნის თარო

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

ეროვნული

ნიგნი I
V-XVII სს მხარელობა

ნიგნი II
XIX საუკუნის მხარელობა

ნიგნი III
XX საუკუნის მხარელობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

სწავლის ინტერაქტიული მეთოდები 10 ლარი

ქართული (I-VII) მისწავლის გამომწვევისთვის 11 ლარი

ეროვნული უნარები 15 ლარი

პროფესიული უნარები 15 ლარი

სალომონის თანხა სალომონის რეკონსტრუქციისთვის:
 მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
 ა/ა GE93LB0113314052305000,
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
 შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით:
 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23